

ს. პეტერბურლის ობერ-პოლიციეისტრის.
მეცადინეობით, შარშან ზამთარს დაიწყო.
პეტერბურლის უბრალო მუშა-ხალხისათვის
ლექციების კითხვა. ამ ლექციების დანიშნუ-
ლება ერთის მხრით ის არის, რომ გაცნოს
ხალხი საშობლო ისტორიას, სამღეთო წე-
რილსა და სხვა და სხვა ხელოვნობას, და მე-
ორე მხრით, გადააწვიოს ხალხი ლოთობასა
და უსარგებლოთ დროს გატარებას. ამ ლექ-
ციებზე ძალიან ბევრი ხალხი დაიარება. ცო-
ლა ხანა შემდეგ ამისთანა ლექციები მოსკო-

შეიცვამათ. პეტერბურგში პირველად მხოლოდ ერთ ალაგას ჰქონდათ ღვთისმეტყველება და ამის გამო შორს მდგომი მუშახალხი ვერ მოადრდა; ახლა განუზრახავთ, რომ სამოთხ ადგილას გამართონ ღვთისმეტყველების კითხვა, ისეთ ალაგებს, სადაც ბევრი ქრისტიანი და ფაბრიკები და მაშასადამე სადაც მუშახალხი ბლომად ცხოვრობს.

უეჭველია, რომ ეს ღვთისმეტყველებები ძლიერ დაეხმარება უბრალო ხალხის გონების გახსნას, თუ კი რიგინი მიმართულება მოეცა იმათ.

ამას წინათ რუსულ გაზეთებში სწერდნენ, რომამ ზაფხულს პეტერბურგში მთელი ამ გუბერნიის სასოფლო შოკოლადების მასწავლებლებისა და ინსპექტორების კრება იქნება დანიშნული. შემდგომ გადარდა ხმა, რომ სახალხო განათლების მინისტრს არ მიუყვია ამ კრების ნება. მაგრამ ახლა ბეჯითად სწერენ, რომ ეს ხმა ტყუილი არის და სახალხო განათლების მინისტრისაგან ამ საქმეს არავითარი დაბრკოლება არ ექნება.

პეტერბურგის ეპარქიის უთხოვნი უმაღლესი მმართველობისათვის, ნება მოგვეცით, რომ, პეტრე დიდის 200 წლის იუბილეის სასოფლო, ისეთი საზოგადოება შეიქმნას, რომელსაც ექნება დანიშნულება, რომ რუსეთში ეპარქიული ცოდნა გაავრცელოს. მმართველობას ნება-რთვა მიუცია ამ თხოვნაზე და ხელმწიფე იმპერატორს უბრძანებია სახელმწიფო ბანკისათვის, რომ ამ საქმისავე დასახმარებლად სამი ათასი თუმანი გადაეცემო.

ხოლო რუსეთში ზოგიერთ გუბერნიებში თან და თან უფრო ვრცელდება და ძლიერდება. გაზეთებიდან სჩანს, რომ ამ ეპარქიულ უფრო ძლიერად ხოლოცა კი-ევის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, კურსკის, პოლოტავის და სხვა სამხრეთ რუსეთის გუბერნიებში არის. ოდესაში ჯერ-ჯერობით 15 მაისიდან ვიდრე აქამომდე სულ სამოც და ათ კაცზე მეტი არ მომკვდარა.

სეტყვას მარტო ჩვენი მხარე კი არ დაუზიანებია წელს. რუსული გაზეთებიდან ვეცნობო, რომ წელს რუსეთშია ძლიერ ბევრ ალაგას ყოფილა სეტყვა და ბევრი ყანები გაუფუჭებია. «მმართველობის მოამბის» გამოანგარიშებით, ჯერ-ჯერობით ამ ბუნების მოვლენას რამდონსამე გუბერნიებში 330,000 მანეთის მარტო პური გაუფუჭებია.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

წინანდელ «დროების» ნომერში იყო მოხსენებული, რომ ამას წინათ რამდენიმე მარჯვენა მხრის დეპუტატები (მონარხიელები) იყვნენ თავის პარტიისაგან გაგზავნილი ტიერთან და გაკრით სთხოვდნენ, ისეთი პოლიტიკა მიეღო ტიერს, რომ შემდეგში ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო რესპუბლიკის მოსაპოვად საფრანგეთში და მის ნაცვლად მონარხიის დაწესება. ამასთანავე ისიც იყო მოხსენებული, თუ როგორი უარი უთხრა ტიერმა ამ დეპუტატებს. თითქმის ყველა ფრანკოფონი გაზეთები ამ საქმეზე ლაპარაკობენ ამჟამად, არავის არ მოსწონს ამგვარი მოქმედება კონსტიტუციური პარტიისა ნამეტურ ახლა, როდესაც, ბევრის განსაცდელის შემდეგ რესპუბლიკის მმართველობა და მშვიდობიანობა თან და თან მკვიდრება საფრანგეთში, და ამასთანავე გერმანიისათაც არის

მოლაპარაკება იმაზე, რომ ჩაყენებული ჯარები გაიყვანონ. გაზეთები ამბობენ, რომ ამისთანა მოძრაობა და საქმეები მშინებს ნემცეცხლს, იმათ შეეშინდებათ, რომ ჩვენ ჩვენს პირობას ვერ შევსრულებთ და ამის გამო არ წაიყვანენ საფრანგეთიდან ჯარსა. თვითონ მონარხიელებსაც უგრძნობია, რომ შემცდარან და, როგორც ამბობენ, ზომიერ რესპუბლიკელებს უხელოვდებიან, რომ ერთად გაუწიონ წინააღმდეგობა მონარხიელებსა და რადიკალურ რესპუბლიკელებსა.

ამ ქაშად კიდევ საფრანგეთის ექვს დეპარტამენტში არის ჩაყენებული გერმანიის ჯარი, რომელსაც სანამ დანარჩენ სამილიარდ ფრანკს კონტრიბუციის ფულს არ გადაიხდიან ფრანკოფონები, მანამ არ გაიყვანებენ. უკანასკნელი ვადა ამ ფულის გადახდისათვის 1874 წელიწადია დანიშნული: წელს ერთი მილიარდი უნდა გადაიხდოს საფრანგეთმა და მაშინ ორი დეპარტამენტი გაიყვანენ ნემცეცხლს თავიანთ ჯარს, მერმის ერთი მილიარდს გადაიხდიან და კიდევ ორი დეპარტამენტი განთავსდებიან ნემცეცხლს ჯარისაგან; ბოლოს მესამე მილიარდს 1874 წელს გადაიხდიან და მაშინ არცერთი გერმანიის სალდათი არ უნდა დარჩეს საფრანგეთში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უანგარიშო ფულის გადახდა ძალიან უჭირს საფრანგეთს, მით უფრო რომ ბანკირებს და ფულთან კაცებს ეშინიათ, კიდევ მოხდებოდა საფრანგეთში არეულობა, და ფული რომ ეასესხათ იმას, დაგვეკარგებო.

— იენისის 7 (14) ერთს პარიკის საზოგადოების დეპუტატისა და რამდენსამე მარცხენა მხრის დეპუტატებს წარუდგენიათ ნაციონალური კრებისათვის 850,000 კაციდან ხელმოწერილი ქაღალდი, რომელშიაც ისინი თხოულობენ, რომ საფრანგეთში ვალდებულებითი სწავლა იყოს შემოღებული. მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ამ საქმის თაობაზე სახალხო განათლების მინისტრმა — ჟულ სიმონმა — შეიტანა ნაციონალურ კრებაში პროექტი, მაგრამ უმეტესი ნაწილი წევრები ამ კანონის წინააღმდეგნი შეიქნენ. ახლა უნდათ, რომ საზოგადოების უმადგომლობით იქონიონ კრებაზე გადგენა და მიღებონ ეს ყოველი სასარგებლო კანონი. შემოხსენებული აღრესი პირ-და-პირ ნაციონალურ კრებას მიმართავს; იმაში აი რა არის, სხვათა შორის, მოხსენებული:

«უფ. დეპუტატო! ჩვენს საზოგადოებად დაიწყო შანსი ხომადამ სელის-მოწერის მოკრება იმ პირობით, რომელთაც წესდით, რომ საფრანგეთში ვალდებულებითი, უფასო და საერთო სწავლა შემოღებულიყო. ახლა წარმოადგენთ თქვენ ამ ჩვენი მოქმედების რეზოლუტას. დღემდე 847,000 გაცმა მოაწერა სელა ჩვენს ქაღალდზე, და ყველა ესენი თხოულობენ, საფრანგეთში პირველ-დაწყებითი სწავლა ვალდებულებითი იყოს. ამ რიტხს განმარტება არ სჭირია, რადგან თავის თავად ესადათ აჩვენეს ხალხის სურვილს. წარმოადგენთ ამ ადრესს და სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ უფრადებოთ არ დაგდებთ იმედი ხალხის მოთხოვნისა და სურვილისა. სელა-მოწერის საზოგადოების პრეზიდენტი სიგან და სკრეტრისაგან.

— იმას გარდა რომ მთელს საფრანგეთს ხუთი მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია დააწერეს ნემცეცხლად, საფრანგეთის ყოველს ქალაქს, რომელსაც კი აიღებდნენ, კიდევ ცალკე ახდენდნენ კონტრიბუციას. მაგალითად, მარტო პარიკს გადახდევინეს შარშან ომიანობის დროს ორასი მილიონი ფრანკი. ეს ფულები, რასაკვირველია, მთელს საფრანგეთს უნდა ეკისრნა. ახლა პარიკი სთხოვს ნაციონალურ კრებას, რომ ეს 200

მილიონი დაგვიბრუნეთო; მაგრამ, ამბობენ, ნაციონალური კრება მხოლოდ 140 მილიონ ფრანკს აძლევს, დანარჩენი შენ წილად გერგებო, ეუბნება ის პარიკის მუნიციპალიტეტს.

— ამბობდნენ, რომ ომიანობის შემდეგ პარიკი დაცარიელდა, ბევრი ხალხი მოაკლდა; ზოგი დახოცეს და ზოგი სამუდამოდ გადაეხსნა იქიდან სხვა ქვეყნებში და ქალაქებში. მაგრამ წელს კამერალური აღწერა მოუხდენია მმართველობას და უანგარიშნათ, რომ 1870 წელს აქეთ პარიკს სულ 5,600 ჯარებელი დაჰყვებოდა; ასე რომ ამჟამად პარიკში კიდევ ერთი მილიონი და რვაასი ათასი მხოვრებელი ითვლება.

ესპანია

რადგანაც ესპანელთა ესპანიის პარლამენტში (კორტესებში) უმეტესი ნაწილი წევრებისა კონსტიტუციური არიან, ამისგან იმათ სერანოს სამინისტროს დათხოვნა, და ზოგილიას (რადიკალური სამინისტროსი) დაყენება ძალიან არ მოსწონებიათ. სერანო და იმის ამანაგები განსაკუთრებით იმაზე არიან უკმაყოფილო, რომ ზოგილიას სამინისტრო ახლანდელი კორტესების დათხოვნასა და ახალი კენჭის ყრის დანიშვნას აპირებს. იმათ გამოსცეს მანიფესტი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ახალი ამორჩევის დანიშვნა ამჟამად ესპანიაში მოუხერხებელი საქმე არის, რადგან ჯერ კარლისტების არეულობაც არ გათავებულია. ინგლისური გაზეთი «ტაიმსი» კარგ მომავალს არ უქადის ესპანის: ის ამბობს, რომ ყველა პარტიები შვერთდებიან ესპანიაში და ეცდებიან, რომ ზოგილიას სამინისტრო გადააყენონ და ისევ კონსტიტუციურებმა ჩაიგდონ ხელში უფლებო. რესპუბლიკელებიც თავის მხრით გულ-ხელდაკრეფილები არ არიან: იმათაც გამოსცეს მანიფესტი, რომელშიაც უცხადებენ თავიანთ მომხრეებს, რომ მოაწია დრომ ესპანიაში რესპუბლიკის დაწესებისა და ამიტომ ახლა ყველას ერთად თანხმობით მოქმედება გემატება ამ საქმისთვისა.

— შარშანდელს აქეთ, ესე იგი მას აქეთ, რაც იზაველა გადაყენეს და პრინცი ამედი დასვეს ესპანიის ტახტზე, ცხრა სამინისტრო გამოიკვლია ესპანიაში. უკანასკნელს, სერანოს, სამინისტროს ერთი კვირაც არ უტოცხლია, ისე გამოიკვლია და ახლა ზოგილიას სამინისტრო არის. კარლისტების დამშვიდებისა გამო სერანოს პირველში პარტიას სცემდნენ. მაგრამ, როგორც ამბობენ, როდესაც ის მინისტრების პრეზიდენტად დანიშნეს, ამედი ურჩევდა, რომ კონსტიტუციის ძალა შეეყენებინა და, ვითარცა თვითმპყრობელი კაროლი, ისე ემოქმედნა. ამედი არ დათანხმებულიყო ამაზე: სერანო და იმის სამინისტრო დაეთხოვნა და ზოგილიასთვის ეთხოვნა ახალი ლიბერალური სამინისტროს შედგენა. ზოგილიას პირველად არ უნდოდა ეკისრა ახლა ეს ძნელი მოვალეობა, მაგრამ კორტესებისა და სხვა და სხვა ქალაქების დეპუტატებმა სთხოვა იმას, რომ მმართველობის მოთავე კაცად დამდგარიყო. იმდროს ზოგილია სხვაგან იყო თურმე და როდესაც დათანხმდა და მდღეში დაბრუნდა, ხალხი და მთელი საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება იმას და თანაგრძნობა განუტყდეს. ამბობენ, რომ პირველი განკარგულება ზოგილიასი ის იყო, რომ გადაეყენა ყველა კონსტიტუციური ჩინოვნიკები, რომელნიც წინანდელი სამინისტროების დროს იყვნენ დაყენებულნი და აწუხებდნენ ხალხსა. ამ ახალს სამინისტროში, როგორც ამბობენ, ყველა ძლიერ პარტიისანი და გამოჩენილი პირები იქნებიან წევრებათა. თუ-

თან ზოგილია მინისტრების პრეზიდენტი და შინაგანი საქმეების მინისტრი იქნება, გამოჩენილი ლენერალი კარდოზა — სამხედრო მინისტრად დანიშნა; სხვებიც თითქმის ყველა ესპანიის რადიკალურ პარტიას ეკუთვნის.

ინგლისი

იენისის 6 (18) ლორდების პალატაში ყოფილა მოლაპარაკება იმ პროექტზე, რომელიც იქ წარუდგენია განსახილველად და დასამტკიცებლად ქვემო-პალატასა, ანუ პარლამენტს, და რომელიც კენჭის ყრას შეეხება: — დეპუტატების ამორჩევის დროს კენჭის ყრა აშკარად უნდა იყოს, თუ საიდუმლოთაა. ამ საგანს ინგლისში ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ფერმერებს და დასაზოგადოთ ლარბებს აშკარად არ შეუძლიათ შავი კენჭი ჩაუგდონ ლორდებსა და მდიდარ ფაბრიკანტებს, რომელთაგანაც ისინი მატერიალურად არიან დამოკიდებულინი და რომელნიც ამ აშკარად კენჭის ყრით სარგებლობენ და ყოველთვის ხდებიან დეპუტატებათ. როდესაც კენჭის ყრა დაფარულად და საიდუმლოდ იქნება, მაშინ კი ყველას შეუძლია — როგორი კენჭიც უნდა, ისეთი ჩაუგდოს კანდიდატს, რადგან ვერაფერ ვერ გაიგებს, ვინ გააშავა და ვინ გაათეთრა. ამ შემთხვევაში უფრო მალე და ადვილად აირჩევიან დეპუტატებათ ისეთი პირები, რომელნიც ნამდვილი ხალხის წარმომადგენლები და იმის კეთილისმსურველნი არიან. ქვემო-პალატამ თავის მხრით გადაწყვიტა, რომ კენჭის ყრა ინგლისში საიდუმლოდ უნდა იყოს, და ეს თავის გადაწყვეტილება, როგორც ზემოთა ესტეტი, ლორდების პალატას (ზემო პალატას) წარუდგინა დასამტკიცებლად. მაგრამ, რადგან ამ პალატაში სულ ყველა ლორდები და შეძლებული ხალხი სხედან, რომელსაც ეშინია, რომ საიდუმლო კენჭის ყრით, მათ აღარ ამოიჩვენენ დეპუტატებათ, ამისგან იმათ თითქმის სულ დაუმხინჯებიათ ეს კანონის პროექტი და ისე მიუღიათ. სხვათა შორის დაუდიათ, რომ, ვისაც როგორ უნდა, ისე ჩააგდოს კენჭი; ვისაც აშკარად მსურს, აშკარად ჩააგდოს და ვისაც საიდუმლოდ მსურს, საიდუმლოდ ჩააგდოს. ამის შედეგი ის იქნება, რომ ხალხი (ამორჩეველი) ხშირად ვერ გაბედებს საიდუმლოდ შავი კენჭი ჩაუგდოს თავის მიწის პატრონს ან ფაბრიკანტს, რადგან ის იმჟამად ექვში ჩაეზრება, და ამის გამო ძალა-უნებურად იძულებული იქნება, რომ აშკარად ჩაუგდოს იმას თეთრი კენჭი, თუნდა გულით არცკი უნდოდეს. სრულებით სხვა ნაირად იქნებოდა საქმე, ყველა ამორჩეველი ვალდებული იქნება ყოფილიყვნენ, რომ უთუოთ საიდუმლოდ ჩაუგდოთ კენჭი: მაშინ არავისი არ შეეშინდებოდათ და ისე მოიქცეოდნენ, როგორც სინდისი გაუტყიადათ.

შვეიცარია

ერთს ნემცეცხლს გაზეთში დაბეჭდილია ანგარიში, რომელიც შვეიცარიის ხალხთა შორის მუშების საზოგადოებას წარუდგენია თავის წევრებისათვის იენისის 2 ვეცეს საზოგადო კრებაში. მოგვეყვას რამდონიმე საინტერესო ცნობები ამ ანგარიშიდან: ხალხთა შორის მუშების საზოგადოება შვეიცარიაში ორ ნაწილად იყოფა; ერთ ნაწილს შეადგენენ ნემცეცხური კანტონები და მეორეს ფრანკოფონი და იტალიური. ნემცეცხური კანტონებში ამ საზოგადოებას უფრო ნაკლებად ჰყავს მომხრეები, ვიდრე დანარჩენს შვეიცარიაში. ყველაზე უფრო მომეტებული გადგენა ამ საქმეში ექნებას აქვს, სადაც იმყოფება ცენტრალური კომიტეტი ამ საზოგადოებისა: ექვში გამოდის ამ საზოგადოების გაზეთი, სახელად «Egalité» და იქვე არის აგრეთვე მუშა ქალების საზოგადოებაც, რომლის პრეზი-

დენტათვევს კონგრესზე ამორჩეული იყო ქალი პტივიერი. მუშები თავის ხელობისა და გეარათ არიან დაყოფილნი: ღურგლები ცალკე წრეს შეადგენენ, მჭედლები ცალკე წრეს, ასოსამწებლები ცალკე, მკერდლები ცალკე და სხვანი. ასე რომ ამ საზოგადოების წევრები თითქმის ყოველს შეიცარის პატარა ქალაქში და სოფლებში მოიპოვებენ. უკანასკნელ კონგრესზე სხვათა შორის იმაზე დაიკითხა თურმე მოლაპარაკება, რომ ორი განყოფილება, ერთის მხრით ნემსური და მეორის მხრით ფრანკური და იტალიური კანტონებისა, შეერთონ და ერთად იმოქმედონ ყოველ საზოგადო საქმეში, რომელიც კი შეიცარის მუშებს შეეხება.

ცხინვალის

(მე სავარს წერილებიდან)

სიღამო ქამი მოტანებული იყო, როდესაც მე აღმოსავლეთის სიმაღლეზე გადავხედე ცხინვალსა. ეს პაწაწა ქალაქი სიქეს დიდი ლიანების ღელეში. აღმოსავლეთით და დასავლეთით კედლების გვარად უდგანან იმას პატარა ამღობებული ალაგები; ხოლო ჩრდილოეთიდან დასცქერიან კიბე-კიბე ასული დიდი ტყიანი მთები, რომელნიც პატარა იალბუზის (ბერუტი საბძლისა) ღრუბელში გამქალბლი წვეროვით თავდებიან. მშვენიერი სანახავია ეს მთები: ერთმანეთზედ მიყრილნი და ჩაჯგუფებულნი, ერთი ერთმანეთზედ ამღობებულნი, თითქო სცდილობენ ყველა თავის ამღობებას და თავიანთ მეფე—ბრუტი საბძლის—წინ ერთგულობისა და მორჩილობის გამოჩენას...

ამ მთებშივე არის დიდი ლიანების სამშობლო... მე გამოვინა, სამშობლო ყველას უყვარსო, მაგრამ ლიანები იბადება თუ არა თავის თეთრ-თავშალ-მოხვეული და მწვანე კაბაში მგდომიანე დედისაგან, შეუწყენებელი ანებებს მას თავს და ჯერ სუსტის ხმით, მერმე მაღალი ჩქარაობით, შემდეგ სამინელის ხუილით, ხტუნით და ცეკვით გამორბის ცხინვალისაკენ. ლიანებს ეს პატარა, მხარული ქალაქი, როგორც ეტყობა, უყვარს: აქამდინ ღრიანცელით მომჩქეფარე ლიანები, აქ დინჯდება, იკრიფება ერთად და, თვითონში ახლად ჩამოსული ქართულივით, ნელ-ნელა და გაშტერებული მიზუზუნებს გორისკენ. ცხინვალელმაკ კარგად იციან ეს სიყვარული და თავიანთ მხრიდანაც არ აკლებენ იმას სიყვარულს: ზაფხულის თითქმის ყოველ საღამოს შეიკრებიან ხოლმე ლიანების ხიდზედ ცხინვალელები, გამართვენ გაცხარებულ ბაასს და ვინ იცის, რაზედ არ ლაპარაკობენ...

მაგრამ მე რომ სასაღამოს მოგახსენებთ, ხიდზედ სრულიად არაფერ არა სჩანდა... ხიდს თვალი მოვაშორე და თვით ცხინვალს დაუწყე ცქერა. ცხინვალის შენობა ზემოდან დახედვით სწორეთ რომ მოსაწონია: ყვერით დახურული ქვეთიკის ორ-სამ ეტაჟიანი სახლები, თავიანთ კარგა გრძელი ლიანებზედ გადმოკიდებულის ბალკონებით, მოეგებება პირველსავე შენებდაზედ თქვენი თვალის მხედველობას. ამასთანავე ოთხ-კუთხეი შემოხვეული მწვანე ვენახები რალაც ნაირს სიამოვნებას სახვენ თქვენს გულში. საითყენაც გაიხედავთ ცხინვალის არე-მარეზედ, ყოველგან ლამაზი გაშენებული ვენახი წარმოგიდგებათ. საითქმის მთელი საცხინვლო მინდორი ვენახებით არის გადაქცეული, ასე რომ სახან-სათვის მამული აქურებს ძალიან ცოტა აქეთ.

მე მსურდა დიდხანს მეცქირნა აქედან ცხინვალისთვის, მაგრამ დრო ნებას აღარ მაძლევდა. მზემ დიდი ხანია, რაც თავის

გრძელ-გრძელი, მოყვითალო სხივები ჩამოუშვა მომდინარე დედა-მწისკენ. დედა-მწის თავისი მთებით და მწვანე ტყეებით მწარე ლიმილით ეხალმებოდა მზესა; ყველა საგანი თავადებული გასცქეროდა დღის ბატონს. მხოლოდ ზოგიერთა მთას მოელო დაღვრე-მილი სახე აღმოსავლეთისკენ და, თითქო გაჯავრებული, უბღეროდა იმ მხრიდან მომავალ ღლის მოადგილე ღამესა. მეც ამ მთების გვარად მივიხედე აღმოსავლეთისკენ, ცხადთ დავინახე იქიდან სირბილი მომავალი, მგლებზედ, ტურებზედ და ღამურა კაცებზედ მგდომი შავი ღამე... და ჩქარა სიარულით გავეცი ცხინვალისკენ. ჩავიარე გვერდა და ჩვედი ხიდის ყურზედ. აქ თითქმის არაფერ არ იყო; მხოლოდ ერთ კარკა ხანში გადასულ, გაბერილ და ცხვირ-დიდა სომეხს დაეჭირა პატარა ფინია ლეკვი და სმინლად აწკმუთებდა საცოდავსა.

— რათ სტანჯავთ მაგ საწყალ ლეკვსა? — ეკითხე სომეხს, როდესაც დაუთანსწორდი მას.

— არაფერსა, ყმაწვილო! თავის ადგილთ და დინჯად მივასუხა სომეხმა. — არაფერსა, სისხლი მინდა მარტო ამისი...

— მაგის სისხლი რაში უნდა გამოიყენოთ?

— იმაში უნდა გამოვიყენო, რომ კინც პატარა ფინიას სისხლს, ისიც კუდი ძირის სისხლს, წაიხდამ ტანზე, სისხლი გაუკეთილ-შობილდება და გაუწითლდება...

— მაშ თავად-აზნაურები რომ აისხლის კეთილშობილებას და წმინდაობას სწმოდენ, იქნება ეგ წამალი იცოდნენ?

— შენუ მამიკედები, ყმაწვილო, სწორეთ, თორემ თავად-აზნაურს ისე რათ ეყვარება ფინია ძაღლები, როგორც ქსლა უყვართ.

— თქვენ ნუ მომიკედებთ, სწორეთ ეგრე იქნება! — მიუბრუნე სომეხს თავისივე სიტყვები.

— თქვენ ქალაქელი ბრძანდებით, მგონია? მითხრა სომეხმა, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— არა, მიუხედავად, ქალაქელი კი არა ვარ, მაგრამ ენლა კი იქიდან მოვდივარ.

— ხომ ყოფილხართ ქალაქში — სულ ერთია. რა უფრო იაფია ქალაქში?

— ისა, რაც უფრო ბევრია.

— ე! მეც მაგას გეუბნები: — რა არის ბევრი?

მე ხუმრობის გუნებაზე ვიყავი და უბასუბე:

— ქალაქში ყველაზედ ბევრი უსინდისობა, სიზარმაცე და ფენქვემ გება!

— მე შენი არა გამიგარა! მე გეუბნები: საფარო იაფია, მეთქი, თუ არა?

— ჰო! საფარო მეთუბნები? ხორცი ძვირია; ფარჩა იაფი, საწერიშალო — საშუალო.

— უფრო რა გაძვირდა ქალაქში?...

— სინდისი და კაცის ნამდვილი ღირსება... ეს სიტყვებიც აღარ გამათავებინა ჩემმა სომეხმა — ბურტყუნით და «ეს ინჩეს ტო» — ძახილით გასწია ფინია ლეკვით ლიანებისკენ.

მე დაუწყე ლიანებს ცქერა. ეს გაშფოთებული გარბოდა ქვემოთკენ. დიდ ხანს უცქირე იმის თავისუფალ ხტუნვას. — «ნეტავი შენა, ლიანებო, გამობადი ჩემს გულში, ნეტავი შენა, რომ არაფერ არის შენი ბატონი, შენი მბრძანებელი; არაფერს უსამართლოების და მხეცური ძალის ქვეშ არა ხარ შებოკილი და დამურჯებული!.. მიყვარხარ, ჩემო ლიანებო. მიყვარს შენი დაღონებული ხუეილი, მიყვარს შენი მარად შეუშინრად წინ სვლა! მაგრამ, როდესაც კი შენა გხედავ, რალაც ნაირი ჯავრი და სევდა იცავს ჩემს

გულს. რა არის ეს ჯავრი? ეს სევდა? ისა, რომ ამოდენა ალაგს მხოლოდ შენა გხედავ წინ მიმავალს! მხოლოდ შენა გხედავ დამაბრკალელებთან მებრძოლს!...

მოვაშორე ლიანებს თვალი და გავეცი შუა ცხინვალისკენ. პირველსავე ქუჩაში, რომელიც სომეხების ქუჩას ეძახიან, თქვენ შენიშნაეთ იმ აზრის წინაღმდეგობას, რომელიც თქვენ შეადგინეთ ზემოდან დახედვით ცხინვალის შენობაზედ: მაღლიდამ დახედვით ცხინვალის შენობა სწორეთ რომ მოსაწონია, მაგრამ რაკი უკან დაავდებით იმ ლამაზ ბალკონიან სახლებს, რომელნიც დიდ ლიანებზედ არიან გადმოკიდებულნი და რომელიც მოგეგებებთ წინ, ზემოდან დახედვის დროს. — ენაბო, რაკი ამათ გასცდებით და შეხვალთ შუა ცხინვალში, სრულიად სხვა აზრს შეადგენთ ცხინვალის შენობაზედ: ძველი, უშნოდ აშენებული ქვეთიკისა და ფიც-რული სახლები მოგეგებებთ წინა. მხოლოდ აქ-იქა არის ამღობებული ბალკონიანი ქვეთიკის სახლი. ქუჩებზედ ხომ ბევრი ლაპარაკი აღარ არის საჭირო: ვიწრო, უსწორ-მასწორო და ნავიეთი საცე ქუჩაში უნდა შეადგათ წინაპირველათვე ფეხი და რამდენიც შუა ცხინვალს უახლოვდებით, ანუ შედინხართ, იმდენათ ქუჩებს უფრო და უფრო თან-და-თან ემატება თავისი ჩვეულებრივი ხასიათი. ალაგ-ალაგ ეს ხასიათი გამოუღვევლის და აყროლებულის წუნწუნით გვირგვინდება. მაგრამ ყველაზედ უსუფთაობას კაცი ურიების ქუჩაში შეხედება. ზინტლისა და ცხენების პატივის სუნი, შავი აყროლებული ლაფი და ტალახი — შეადგენენ ამათ საკუთრებას. ზოგ ქუჩაში კი ქვა არის დაგებული და ამისთვის ცენი უფრო სუფთანი არიან.

სომეხების ქუჩა, რომელშიაც პირველად შევა აღმოსავლეთიდან მიმავალი მგზავრი, მე რომ შევედი დედაკაცებითა და პატარა ბავშვებით იყო სულ საცე. დედაკაციები თითქმის ყველანი თავთავიანთ კარების წინ ისხდნენ და უნდომრად, ნამძინარებივით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს რალაც კარებს: «ქა, დგვირელ მკითხავს ბლაღოჩინისთვის ქრთამი მიუტოლო», მოისმა ერთი თვალზე დასიებული დედაკაცისაგან. ამას სხვებიც ბევრნი გამოვასუხნენ, მაგრამ მე ამათთვის ყუარი არ მივღია, რადგანაც იმდროს ჩემი ყურადღება მიიტაცა პაწაწინა გლეხებმა, რომელნიც თავიანთ ნაზის უმანკოს ხმით, პატარა ბელურა ჩიტებივით, ერთად შეჯგუფებულნი, მშვენიერის კილოთი მღეროდნენ რაფიელ ერისთავის ლექსს «რათ შემეყვარებ, განა არ ვიცი?»

აქედან მე წაველი ბაზარში. ეს ბაზარი არ არის აღწერის ღირსი; მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ ესეც არ არის წუნწუნსა და ტალახს მოკლებული. ღუქნები სულ უსუფთაონი და დაძველებულნი გაშტერებით, პატრონების გვარად, გამოიქცირებოდნენ ჩემსკენ. საეპრო ამთში ყველაზედ ბევრი აქურები და ტყავებია... ხალხი ამდროს ბაზარში ბევრი არაფერ არ დადიოდა. აქ-იქა ჩნდებოდა მხოლოდ ღვინიდან თვალზე დასიებული ზარმაცად მიმავალი ცხინვალელი გლეხი.

ამ ბაზარს ქართველებისა და სომეხების ბაზარს ეძახიან. აქედან მე ურიების ბაზარში ჩავიარე, მაგრამ აქ ღუქნები სულ დაკეტილები იყო.

— ურიებს დღეს ღუქნები რათა აქეთ დაკეტილი? ეკითხე ერთ პატარა ბიჭს, რომელიც ჯიბეში კაკლებს ჩხაკუნით გამოირობდა და ქართველ-სომეხების ბაზრისკენ.

— დღეს ულიების დღეა, რადგანაც, როგორც მითხრა პატარამ.

სემინარიელი (დასასრული შემდეგში)

ნარკი

მარტო შარშანდელი წლის განმავლობაში გერმანიაში 10,669 სხვა და სხვა თხსულებს დასეკლდა და გაძალუჯა. ამ თხსულებში უფრო მომეტებული ნაწილი ღვთის მეტყუელებს, ზოლიტიკას და უმწიფელების აღზრდას შეეხება.

ინგლისის პოლიცამ დამოაჩინა ღონდონში ერთი ისეთი სასლი, სადაც მათსოკრეს მიჰყავდათ თურქი თავიანთი სასლ-დაბადებული შვილები, რომ იქ დაქმნისნუკობათ ისინი, მერე სელში დაქვითათ და მათსოკრება დაწყეთ. ამ სასლში იყვნენ თურქი ისეთი შიკაბა, რომელნიც კისკრს, სელს, ფესს, ან სხვა რამე სსუელს მოუტრესდნენ და გაუფუჭებდნენ უმწიფელებსა, ისე რომ არ მომკვდარიყო, და ამისთვის დადებულ ფასს განაწილებდნენ პაქშეების პატრონებსა. ამას გარდა აქვე სასლადნენ მათსოკრეს — თუ როგორ უნდა მოკვდნათ სიბრძნე, უფესობა, გულის ჯავთ-მეოფობა, ორსულობა და სხვა ამაგარკი. პოლიცამ დაატუსაღა ამ სასლში თორმეტი კაცი, რომელნიც ამ სასარელი სელობით ირჩენდნენ თავსა.

ამერიკაში ისეთი გაჯავს თურქი, რომ, როგორც იწერებინს, მომეტებული სიცხისაგან გეტყბი იხრებინანო.

გერმანიის ქალაქში, ერტურტში, ამ ივნისის დამდეგს მოგროვებან კონგრესზე 11,000 მუშა-საღის წარმომადგენლნი, სულ მან კაცი, ღასსაღის მომსრენი. ამ კონგრესს სხვათა შორის გადაუწყვეტა, რომ ისეთი სასოგადო მუშა-საღის კავშირი შეკადგინათო, რომელც მთელი გერმანიის მუშების საზოგადოებას შეიცავდეს.

განცხადებანი

ქალაქში ისეადება

სემინარიაში და სხვა ალაგებში:

წიგნი

სიბრძნე სიცრუისა

თქმული

სულთან-საბა ორბელიანისა.

ფასი ათი შურო.

წიგნი. ზატარა სასაღსო წიგნი

არსენასი

მესტერეთაგან თქმული სასაღსო ზოგის

მეორე გამოცემა

ნაკვალავ ყიფიანისაგან გამოცემული

ფასი ერთი შურო.

სასაღსო წიგნის განცხადებები.

ისეადება: მუღიკის სტამაში, გ. წარედის (დუბუღიანის) სტამაში, ივანკის პაბლიოთეკაში და სხვაგან.

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები

დღეს ამ დღეობისაში მოუთმულები